განკარგულება:**g-31. 312317811**
თარიღი:**27/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტურქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2023 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე №114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკველის რეაბილიტაცია	140717
2	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (კოლეჯი) მიმდებარედ მისასვლელი გზის მოწყობა	120000
3	ქ. ლანჩხუთში ნ.ურუშაძის, წერეთელის და ნინოშვილის შესახვევის ქუჩების რეაბილიტაცია	570000
ჯამი		**830717**